ეროვნული ბიბლიოთეკა





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№60 (5090) 1974 წ. 26 მარტი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## „მფრინავი ტორპედო" ამპლუას იცვლის

### გამოსათხოვარი და გზის დასალოცი საღამო

ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრიის, გდრ-ის, გფრ-ის, იტალიის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, შვეციის, ნორვეგიის, იაპონიის, პოლონეთისა და სსრ კავშირის ტრამპლინებზე თითქმის ოცი წლის მანძილზე მოპოვებული სპორტული ნადავლის გამოფენის მოსაწყობად სპეციალური კომისია კარგა ხანს ბჭობდა. დარბაზში გაშლილ უზარმაზარ მაგიდაზე ყველა პრიზი არ დაეტია, არადა ჯილდოები ერთიმეორეზე უკეთესი, ერთიმეორეზე ძვირფასი და დაძაბულ ბრძოლაში მოპოვებული იყო.

ბოლოს ყველაფერი მოგვარდა: ჩვენი სასიქადულო „მფრინავი მოთხილამურის", საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონის, ბაკურიანელი სპორტის დამსახურებული ოსტატის კობა წაქაძის სპორტული ნადავლის გამოფენა გაიხსნა...

შაბათს საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თაოსნობით ბორჯომის საკურორტო დარბაზში მოეწყო საღამო, სადაც რაიონის სახელოვანი შვილი დიდი სპორტიდან გააცილეს და მწვრთნელობაში დაულოცეს გზა...



ეს ზეიმი ბაკურიანში დაიწყო ერთი კვირის წინათ. სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ბოლო დღეს, როცა 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში შეჯიბრება დამთავრდა, სსრ კავშირისა და საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ათასობით მაყურებლის თვალწინ დიდი სპორტიდან საზეიმოდ გააცილეს „მფრინავი ტორპედო", რომელმაც შექმნა ტრამპლინიდან ხტომის საკუთარი, შემდეგ უკვე მთელ მსოფლიოში მტკიცედ დამკვიდრებული სტილი.

მაშინ იქ, ტრამპლინების კონტრფერდობზე, ვეტერანს ბევრი თბილი სიტყვა უთხრეს. შეუდრეკელ ვაჟკაცს გული აუჩუყდა, თავი ველარ შეიკავა და ატირდა: ძნელი ყოფილა საყვარელ სპორტთან გამოთხოვება.

...ახლა კი ჯილდოების გამოფენაზე მოსული ასობით სპორტის მოყვარული ინტერესით უსმენდა რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ზ. მინჯიას, რომელიც კ. წაქაძის სახელოვან სპორტულ გზაზე ლაპარაკობდა.

შემდეგ პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჭალაგანიძემ სიტყვა მისცა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ს. ლომიძეს. რაიონის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სახელით ილაპარაკა ჯ. ჩიკვაიძემ. კობას მიესალმნენ, აგრეთვე, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ბასილაია, ბაკურიანის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ფერაძე, სპარტაკიადის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი მ. გავა, ბორჯომის მუშის ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. დალაქიშვილი, უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნ. ალექსანდრია, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, პიონერები.

გრძნობით სავსე იყო კ. წაქაძის სამადლობელი სიტყვა.

— ვეთხოვები აქტიურ სპორტს, მაგრამ ტრამპლინებს კი — არა. ჩემი გულშემატკივრების, ჩემი ხალხის ნდობასა და ამაგს ამიერიდან იმით გავამართლებ, რომ მთელს ცოდნას და გამოცდილებას გადავცემ ნორჩებს, რომლებიც ტრამპლინიდან ხტომაში დაოსტატებას ისურვებენ, — თქვა სახელოვანმა სპორტსმენმა.

საღამო კონცერტით დამთავრდა.

რ. მაღრაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბორჯომი.

* * *

სურათებზე: სიტყვას ამბობს პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი შ. ჭალაგანიძე (მარცხნივ სავარძელში ზის კობა წაქაძე); „მფრინავი ტორპედოს" ჯილდოები; ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, საბჭოთა კავშირის საინჟინრო ჯარების მარშალი ვ. ხარჩენკო კობას აქტიური სპორტის გზის სახელოვნად გავლას ულოცავს; კობამ ცრემლი ვერ შეიმაგრა.

მ. ზარგარიანის და ა. კოტორაშვილის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).



## ნორჩთა ასპარეზი

### თბილისი

დღეს ჩვენი დედაქალაქის სპორტის სასახლეში იწყება რესპუბლიკური შეჯიბრება მინი-ფეხბურთში 1962-63 წლებში დაბადებულ ბავშვთა შორის. შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი არიან ოთხ ჯგუფად:

I ჯგუფი: „დინამო" (თბილისი), „დინამო" (ზუგდიდი), „მერცხალი" (მახარაძე), სპორტსკოლა (ჭიათურა).

II ჯგუფი: „ტორპედო" (ქუთაისი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი), „გურია" (ლანჩხუთი), „მეტალურგი" (რუსთავი).

III ჯგუფი: „დინამო" (ბათუმი), „ავაზა" (თბილისი), „დილა" (გორი), „ლოკომოტივი" (სამტრედია).

IV ჯგუფი: „დინამო" (სოხუმი), „მეშახტე" (ტყიბული), „კოლხეთი" (ფოთი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (ცხინვალი).

გათამაშება დაიწყება 13 საათიდან. შეჯიბრებები ჯგუფებში 28 მარტამდე გასტანს. 29 მარტს რესპუბლიკური ტურნირის მონაწილენი ისვენებენ, მაგრამ სპორტის სასახლეში გაიმართება საინტერესო თამაშები. 19 საათიდან ერთმანეთს შეხვდებიან „ავაზისა" და „დინამოს" 1960 და 1961 წლებში დაბადებული ბავშვები, ხოლო 21 საათზე — თბილისის „დინამოს" და თბილისის „ლოკომოტივის" ვეტერანთა გუნდები.

30 და 31 მარტს გაიმართება ნორჩ ფეხბურთელთა დასკვნითი მატჩები.

### გორი

პედინსტიტუტის სპორტულ ბაზაზე გაიმართა 1962-63 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა საქალაქო შეჯიბრება მინი-ფეხბურთში, რომელშიც ქალაქის ყველა საშუალო სკოლის გუნდები მონაწილეობდნენ.

საინტერესო ბრძოლების შემდეგ გამარჯვება წილად ხვდათ მე-6 სკოლის წარმომადგენლებს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მე-2 და მე-11 სკოლების გუნდები.

საუკეთესო მეკარედ მიჩნეულ იქნა თ. გაგლოშვილი (მე-7 სკოლა), საუკეთესო მცველად — მ. კულუმბეგაშვილი (მე-13 სკოლა). საუკეთესო თავდამსხმელად — ვ. ჩიტიშვილი (მე-4 სკოლა), საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა მ. პოტაპოვმა (მე-2 სკოლა).

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

### ზუგდიდი

დიდი ინტერესი გამოიწვია საქალაქო შეჯიბრებამ მინი-ფეხბურთში 11-12 წლის ბავშვთა შორის.

უძლიერესი აღმოჩნდნენ მე-11 საშუალო სკოლის ფეხბურთელები, ხოლო მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მე-5 და 1-ლი სკოლების გუნდები.

შეჯიბრებამ გამოავლინა პერსპექტიული მოთამაშეები: დ. შამათავა, პ. ლაგვილავა, ი. ყალიჩავა, ვ. კეიდია, ბ. ხვიტია, გ. შარია, მ. ფიფია, ი. ჩუხუა...

ჭ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).



## რეკორდები

ალმა-ათა, 24 მარტი. ლენინგრადელმა მოციგურავემ ვ. კაშჩეიმ დღეს მედეოს საციგურაოზე საკავშირო რეკორდი დაამყარა: 500 მეტრი 38,02 წამში დაფარა. ეს შედეგი სულ 0,02 წამით ჩამოუვარდება მსოფლიო რეკორდს.

ლენინგრადელმა სპორტსმენმა ამ შესანიშნავ მაჩვენებელს სსრ კავშირისა და ნორვეგიის მოციგურავეთა XVI მატჩში მიაღწია (გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 234,5:220,5).

როსტოკი, 24 მარტი. გდრ-ის ამ ქალაქის აუზში ასპარეზობისას ულრიკე ტაუბერმა ევროპის რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 2.21,13. ძველი მიღწევა (2.21,66) უნგრელ ანდრეა ხუშ-დიარმატის ეკუთვნოდა.

## სამი პრიზიორი

### ვოროშილოვგრადის აუზის ცისფერ ბილიკებზე

ვოროშილოვგრადში, „იუნოსტის" 50-მეტრიან აუზში, დასასრულს უახლოვდება მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. ამ ასპარეზობაში კარგად გამოდიან „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მოცურავეები, რომლებმაც მანამდე ბაქოში გამართულ ზონალურ ტურნირში იმარჯვეს და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ვოროშილოვგრადში განთიადელებმა უკვე სამი საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ბიჭების შეჯიბრებაში III ადგილზე გავიდა თბილისელი ხ. ნედელკო — 1.12,8. გაიმარჯვა ხ. ბობოშინმა (ვილნიუსი, „ჟალგირისი") — 1.12,4. ბათუმელმა ბიჭებმა ვ. ბურმისტროვმა და ი. ომელიანენკომ II ადგილები დაისაკუთრეს: პირველმა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.22,9 (გაიმარჯვა ლენინგრადელმა ა. გრიბანოვმა), ხოლო ომელიანენკომ — 100 მეტრზე გულაღმა ასპარეზობაში — 1.06,0 (აქაც ფინიშთან პირველი ლენინგრადელი ს. სოკოლოვი მივიდა).

ბიჭების ორი საკავშირო რეკორდი დაამყარა ა. გრიბანოვმა („ეკრანი"): ჯერ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში — 59,9, მერე კი 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.16,9.



# ახალი შეჯიბრების სტარტი და ფინიში

## პაატა შამუგია: II ადგილი მრავალჭიდში, I ადგილი ტაიჭზე ვარჯიშში

საჯდესი — ოლიმპიური

გაზეთ „მოსკოუ ნიუსის“ პრიზზე გამართულ პირველ საერთაშორისო შეჯიბრებაში (მოსკოვი, ლუჟნიკის სპორტის სასახლე, 23-24 მარტი) საბჭოთა ქალთა გუნდის წევრებმა ხუთიდან ოთხი ოქროს მედალი მოიპოვეს, ხოლო ვაჟებმა — რვიდან ხუთი. ფაქტიურად, ეს იყო უძლიერესთა პირველი გამოცდა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც შემოდგომაზე ვარნაში უნდა ჩატარდეს. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ტურნირში ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის 18 ქვეყნის 80 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ვაჟთა შეჯიბრებაში უმაღლესი ჯილდოების პრეტენდენტთა შორის ასახელებდნენ მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს ე. კენმოცუს (იაპონია), ოლიმპიურ ჩემპიონებს მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში ვ. კლიმენკოს (სსრ კავშირი), მ. ცუკაჰარას (იაპონია) და კ. კიოსტეს (გდრ), აგრეთვე, ვ. ტიუნეს (გდრ), პ. შამუგიას და ვ. მჩუკინს (ორივე — სსრ კავშირი).

საერთო ჯამში პროგნოზი გამართლდა, მაგრამ კენმოცუს, მაგალითად, მსუბუქი ტრავმის გამო (ვფიქრობთ, უფრო ტაქტიკური მოსაზრებით) თავისუფალ ვარჯიშში და ტაიჭზე შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია. კიოსტეს ხელი მოეცარა თავის საყვარელ იარაღზე — ღერძზე (7,85) და პირველი „დუეინის“ ბოლოში მოექცა.

პირველივე იარაღიდან ლიდერობა ხელთ იგდო საბჭოთა არმიის ოფიცერმა, მოსკოველმა ვ. კლიმენკომ და ეს უპირატესობა ბოლომდე აღარ დაუთმია — 56,65 ქულა. გამარჯვებულს აღმოაჩნდა საღამოს ყველაზე მაღალი შეფასება (9,55) ვაჟთა შორის. ეს შეფასება მან თავისუფალ ვარჯიშში მიიღო. შარშან მაისში ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ კლიმენკო სარბიელზე აღარ გამოჩენილა, მკურნალობდა, პროგრამას აახლებდა. მაგრამ ხანგრძლივმა ანტრაქტმა საბჭოთა გუნდის ერთ-ერთ ლიდერს ხელი ვერ შეუშალა გამარჯვების მოპოვებაში.

ესოდენ სოლიდურ „კომპანიაში“ II ადგილის დაკავება დიდი წარმატებაა თბილისელი პ. შამუგიასთვის (55,5), რომელიც ყველა იარაღზე თანაბარი ძალით გამოვიდა. ტიუნემ და ცუკაჰარამ 55,45-55,45 ქულა დააგროვეს. ლიდერთა ჯგუფში მოხვდნენ რ. მიქაელიანი (სსრ კავშირი) და კ. ხორიდე (იაპონია) — 54,7-54,7. მჩუკინი, რომელიც წარუმატებლად გამოვიდა ტაიჭზე (8,8) და ორძელზე (8,45), მეშვიდე აღმოჩნდა.

ქალთა შეჯიბრების მონაწილეთა შორის ახალგაზრდობა ჭარბობდა. ყველას აჯობა 15 წლის მერვეკლასელმა მოსწავლემ ს. გროზდოვამ (დონის-როსტოვი) — 37,9 ქულა. მან გადაეცა ერთ-ერთი მთავარი პრიზი — მხატვრულად დამუშავებული ლამაზი კოლოფი.

გროზდოვა პირველი კლასიდან მისდევდა ტანვარჯიშს, აკრობატიკას, მხატვრულ ტანვარჯიშს. იგი უკვე მეექვსე წელია რ. ლავროვთან მეცადინეობს. გროზდოვას საყვარელი სახეობა, როგორც თვით სპორტსმენმა გვითხრა თავის პირველ პრეს-კონფერენციაზე, დვირია. აქ მან საღამოს უმაღლესი შეფასება მიიღო — 9,7 ქულა.

გაგვახარა ლავროვის კიდევ ერთმა, უფრო ნორჩმა მოწაფემ — 13 წლის ე. აბრამოვამ. მან ბოლო მომენტში შეცვალა დაშავებული ლ. ბოგდანოვა და IV ადგილი დაიკავა — 36,65. თავისუფალ ვარჯიშში აბრამოვამ მსოფლიოს ტანმოვარჯიშე ქალებიდან პირველმა შეასრულა ორმაგი მალაყი. მართალია, შაბათს ეს ილეთი სპორტსმენს ზუსტად არ გამოუვიდა და მსაჯებმა მხოლოდ 8,9 ქულა დაუწერეს.

დიდი ტანვარჯიშისთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩელიაბინსკელი ე. პრიმაკის გამოსვლაც. 15 წლის გოგონამ II ადგილი დაიკავა — 37,5.

39 მონაწილე ქალში ყველაზე ცნობილი — ე. საადი (იგი ახლა მოსკოვში ცხოვრობს) III ადგილს დასჯერდა — 36,85. მას ორძელმა უღალატა — 8,35. სამაგიეროდ, კვირას, როცა გათამაშდა პრიზები და მედლები ცალკეულ იარაღებზე, სააღი ორჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე: თავისუფალი ვარჯიშისა (19,4) და დვირზე (19,15) შეჯიბრების დამთავრების შემდეგ.

ბჯენით ხტომაში ყველას აჯობა რ. სამეუმ (რუმინეთი) — 18,8. ორძელზე პირველი იყო პრიმაკი — 18,9.

გროზდოვას მეორე დღეს ბედი არ სწყალობდა. როგორც ჩანს, 15 წლის ასაკში არც ისე ადვილია გამარჯვების სიხარულის გადატანა. სვეტლანა სწორედ „თავისი“ დვირიდან ჩამოვარდა და ძვირფასი ჯილდო ვეღარ მიიღო.

ვ. კლიმენკო კი კვირასაც კარგად გამოვიდა. მის მდიდარ კოლექციას დაემატა უმაღლესი ჯილდოები ხტომაში (18,625) და ორძელზე (18,7) წარმატებისთვის. ხტომაში კლიმენკოსთან გამარჯვება გაიყო იაპონელმა ხორიდემ.

თავისუფალ ვარჯიშში პირველი იყო ამერიკელი დ. კროსბი — 19,15. იგი შარშან უნივერსიადაზე ჩამოვიდა, მაგრამ ლუჟნიკის მაგიერ... საავადმყოფოში მოხვდა ბრმა ნაწლავის მწვავე შეტევით და ოპერაცია გაუკეთეს. ახლა კი ნიჭიერმა ტანმოვარჯიშემ მედალი მიიღო.

შამუგიამ ყველას აჯობა ტაიჭზე შეჯიბრებაში — 18,7. მჩუკინს ბადალი არ ჰყავდა რგოლებზე — 19,05. ღერძზე პირველი იყო კენმოცუ — 19,05.

**ვ. დვორცოვი,**
**ჯ. ხაჩკოვანიანი.**

მოსკოვი.

* * *

სურათზე: პ. შამუგია.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ახალი ამბები-74

● ევერე, 24 მარტი. ბელგიის დედაქალაქის მახლობლად მდებარე ამ პატარა ქალაქში გამართულმა საერთაშორისო კროსმა ერთდროულად ორ მძლეოსანს მოუტანა წარმატება: საბჭოთა მორბენლებმა მ. ამდულინმა (უფა) და ს. გედემინასმა (ვილნიუსი) 30 წუთსა და 35 წამში გაირბინეს 8-კილომეტრიანი დისტანცია. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბელგიის, ბულგარეთის, უნგრეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენებიც.

● მილანი, 24 მარტი. ტრადიციულმა „ხუთი წისქვილის კროსმა“ მსოფლიოს ბევრ ცნობილ სტაიერს მოუყარა თავი. 9,5-კილომეტრიანი მანძილი ყველაზე სწრაფად გაირბინა მსოფლიო რეკორდსმენმა, ბელგიელმა ე. პუტემანსმა — 31.08,6. მიუნჰენის ოლიმპიადის „ოქროს მარათონელმა“, ამერიკელმა ფ. შორტერმა II ადგილი დაიკავა — 31.19,4. III ადგილზეა ინგლისელი ბ. ფოსტერი — 31.34,8. სტაიერულ რბენაში ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი ლ. ვირენი (ფინეთი) VII ადგილს დასჯერდა — 32.30,2. ქალები 4 კილომეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვა ინგლისელმა რ. რიდლიმ — 18.30,4.

● პლევენი, 24 მარტი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია „კლასიკოსთა“ საერთაშორისო შეჯიბრებამ ცნობილი ბულგარელი სპორტსმენის ნ. პეტროვის პრიზზე. საბჭოთა მოჭიდავეთაგან I ადგილები დაიკავეს მოსკოველებმა ფ. მუსტაფინმა (ქვემსუბუქი წონა) და ა. კავკაევმა (მსუბუქი), აგრეთვე, იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა, ალმაათელმა ა. ბიკოვმა (პირველი ქვესაშუალო). მეორე საშუალო წონაში საუკეთესო იყო დ. ჰოერი (გდრ). დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს მასპინძლებმა: ოლიმპიურმა ჩემპიონმა პ. კიროვმა (მჩატე), მსოფლიო ჩემპიონმა ა. ტომოვმა (მძიმე), გ. გეორგიევმა (უმჩატესი), ს. აპოსტოლოვმა (მეორე ქვესაშუალო), დ. ივანოვმა (პირველი საშუალო), კ. ლოზანოვმა (ქვემძიმე). მემორიალში 12 სახელმწიფოს მოჭიდავეები მონაწილეობდნენ.

● კრაკოვი, 24 მარტი. პოლონეთისა და ბულგარეთის მოცურავეთა ნაკრები გუნდების აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში გაიმარჯვეს მასპინძელმა ქალებმა და ვაჟებმა საერთო ანგარიშით 164:97. დამყარდა პოლონეთის სამი რეკორდი.

# ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

## გმირი დედა — მშდ კომპლექსის ნიშნოსანი

კულიაბის რაიონის შატალოვის სახელობის კოლმეურნეობის სტადიონზე ჩატარდა მასობრივი შეჯიბრება მშდ კომპლექსის პროგრამით. ასპარეზობის შემდეგ მაყურებლებმა საპატიო კვარცხლბეკზე იხილეს 40 წლის ს. დავლიატოვა, რომელმაც ყველას აჯობა თავის ასაკობრივ ჯგუფში და მშდ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშანი მიიღო.

კოლმეურნე დავლიატოვა მშდ კომპლექსის მე-500 ნიშნოსანია რაიონის ფიზკულტურელებს შორის. მას ათი შვილი ჰყავს. შვიდი სხვადასხვა სპორტულ სექციაშია ჩაბმული. მშდ კომპლექსის ნორმატივები ყველამ ჩააბარა, დანარჩენები ჯერ პატარები არიან: სიროჯი ექვსი წლისაა, დილბარი — ოთხისა, დავლატმადი — ორისა.

შატალოვის სახელობის კოლმეურნეობაში სპორტულ-მასობრივი მუშაობა მაღალ დონეზე დგას. კოლმეურნეობის ყოველი მესამე წევრი ფიზკულტურელია. სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები დარწმუნდნენ, რომ სპორტთან მეგობრობა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლების საუკეთესო საშუალებაა. კოლმეურნეობა ბამბის მოსავლიანობით პირველ ადგილზეა რაიონში, ხოლო მისი სპორტსმენები საოლქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებათა მრავალგზის პრიზიორები არიან.

კოლმეურნეობის ფიზკულტურელებმა თავიანთი ძალებით ააგეს სპორტული კომპლექსი, სადაც შედის ფეხბურთის მინდორი, საცურაო აუზი, ფრენბურთის მოედნები. აქ მთელი წლის მანძილზე ტარდება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. განსაკუთრებით პოპულარულია ფეხბურთი. კოლმეურნეობის გუნდი II ადგილზეა კულიაბის ოლქის სოფლის სპორტსმენთა შორის. მოჭიდავეები მთელს რესპუბლიკაში მოწინავენი არიან ეროვნულ ჭიდაობა გუშტინგირიში. კოლმეურნეობის გამგეობამ სპორტსმენებისთვის ახალი ინვენტარი შეიძინა. ამჟამად აქ 10 სპორტული სექცია მუშაობს.

**ლ. ფრეიდკინი,**
(საჯდესის კორ.).

კულიაბი,
ტაჯიკეთის სსრ.

# „ლელოს“ წერილის კვალდაკვალ

## „გაუსროლელი ვაზნები“

ამ სათაურით „ლელომ“ 7 მარტს დაბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო საქართველოს მონკავშირში სასტენდო სროლის ჩამორჩენაზე.

როგორც საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ციხისთავი გვატყობინებს, პრეზიდიუმმა იმსჯელა გაზეთში გამოქვეყნებულ წერილზე და სათანადო ღონისძიება დასახა:

მონკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ლ. გუნიავასა და სასტენდო სროლის სექციის თავმჯდომარეს შ. ჩახნაშვილს დაევალათ დროულად გაანაწილონ და ადგილებზე გაგზავნონ წვრთნისთვის ხაჭირო 51700 ვაზნა.

სათანადო ყურადღება მიაქციონ სასტენდო ვაზნების მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოყენებას. სასტენდო სროლის პროპაგანდისა და ადგილებზე დახმარებისთვის რაიონებში ხშირად მიავლინონ სპეციალისტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს ეთხოვა მონკავშირის პრეზიდიუმს წლიურად გამოუყოს 100 ათასი დატენილი და 50 ათასი ცარიელი მასრა, აგრეთვე სამი სასტენდო თოფი, რათა საზოგადოებამ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრების კანდიდატთა მომზადება შეძლოს.

პრეზიდიუმმა აჭარის, ქუთაისის, მახარაძის, ზუგდიდისა და წალენჯიხის შესაბამის საზოგადოებებს დაავალა გაატარონ საჭირო ღონისძიება, რათა ძლიერი სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდები ჰყავდეთ.

# მორიგი ტირაჟების შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟებისა, რომლებიც 20 მარტს მოეწყო მოსკოვში.

„სპორტლოტო“. ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2260 მანეთია (218 იღბლიანი ბილეთი), ოთხისთვის — 43 მანეთი (11567), სამისთვის — 3 (222749).

„სპორტლოტო-2“. ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის აქ მოგება 2763 მანეთია (51 ბილეთი), ოთხისთვის — 55 მანეთი (3113), სამისთვის — 3 (50126).

მოგებული თანხა გაიცემა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში 1-დან 30 აპრილის ჩათვლით.

მორიგი ტირაჟი მოეწყობა 30 მარტს მოსკოვში.

(საჯდესი).

# წინათ და ახლა

სპორტული ფელეტონი






ვ. ხიდეშელის ნახატი.




# ცენტრალური წრე

**ვ. ივანოვი**

ერთი ასეთი შემთხვევა მახსოვს: სსრ კავშირის ნაკრები მელბურნის ოლიმპიური თამაშებიდან გამარჯვებული დაბრუნდა. გადავწყვიტეთ ამ გამარჯვების აღსანიშნავად ბანკეტი ჩემთან მოგვეწყო, რადგან ოჯახში დიასახლისიც იყო — დედაჩემი. ბევრი ხალხი შეგროვდა — ყველა ქარხნიდან. როგორც წესი და რიგია, ითქვა სადღეგრძელოები: შემდგომ წარმატებებს გვისურვებდნენ. ბოლოს სიტყვა აიღო გუნდის ადმინისტრატორმა, ტორპედოელმა ვეტერანმა სერგეი ფილიპეს ძე ტიუტიუნოვმა.

— ჩვენი აღზრდილები გვტოვებენ, — დაიწყო მან, — თუმცა ასეც უნდა იყოს: ორივენი ოლიმპიური ჩემპიონები ხართ, „ტორპედო" აღარ შეგეფერებათ. ჩვენ არ ვიცით, რომელ გუნდში გადადიხართ, მაგრამ ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ და გთხოვთ არ დაივიწყოთ თქვენი აღმზრდელი კოლექტივი...

ჩვენ მეტისმეტად გაგვკვირდა ამ სიტყვებმა და მაშინვე ვთქვით, რომ არსადაც არ ვაპირებდით წასვლას, არც ქარხნიდან, არც „ტორპედოდან". მაგრამ ყველაზე მეტად გამაკვირვა არა იმან, რომ ჩვენს ბედს ჩვენს დაუკითხავად უკვე გადაწყვეტილად თვლიდნენ, არამედ იმან, რაც ყველასთვის ბუნებრივი ამბავი იყო: თუ მივდივართ, ერთად უნდა წავიდეთ, არა მარტო ერთად, არამედ ერთ გუნდშიც.

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ერთმანეთს ვგავდით, როგორც მოთამაშენი, ან იმას, რომ ძალით ერთმანეთის ტოლი ვიყავით.

არა, ისეთი ფეხბურთელები, როგორიც ედუარდ სტრელცოვი იყო, მე აღარ მინახავს და, ვფიქრობ, ვეღარც ვნახავ, თუმცა მითამაშია კარგ, ძლიერ და ძალიან ძლიერ ფეხბურთელებთანაც. სტრელცოვი რაღაც სულ სხვაა, ბუნებამ იგი უხვად დააჯილდოვა, თითქოს მიზნად დაისახა გამოეძერწა იდეალური ფეხბურთელი, არა უბრალოდ ფეხბურთელი, არამედ ცენტრფორვარდი.

ფეხბურთში სტრელცოვისთვის არ არსებობდა არავითარი სირთულე, არავითარი საიდუმლო. ლობანოვსკის ცნობილ კუთხურ დარტყმაზე ბევრი დაწერილა. ეს დარტყმა ლობანოვსკიმ გამოიგონა და ყველაზე უკეთაც ასრულებდა. იგი სირბილით წამოვიდოდა და ისე დაარტყამდა, რომ ბურთი ჯერ პირდაპირ ისარივით გაიჭრებოდა, მერე კი, როცა საცაა კარს უნდა გასცდენოდა და ფრენა გაეგრძელებინა, უცებ მკვეთრად მოუხვევდა და პირდაპირ ძელთან ჩაეშვებოდა. ეს რთული დარტყმა შემსრულებლისგან ფილიგრანულ ტექნიკას მოითხოვს და ლობანოვსკი, სანამ კარგად დაეუფლებოდა, ყოველდღე გულმოდგინე მუსიკოსივით ათჯერ და ასჯერ იმეორებდა მას საწვრთნელ ვარჯიშებზე.

სტრელცოვმა ეს ილეთი ლობანოვსკის შესრულებით მხოლოდ ერთხელ ნახა, შემდეგ მეცადინეობაზე ბურთი კუთხურ დროშასთან დადო, გაძოექანა და ზუსტად ისე დაარტყა როგორც ლობანოვსკი ურტყამდა. ბურთმა აფრენისას რაღაც წარმოუდგენელი კაურები გააკეთა და კარის ბადეში აღმოჩნდა.

მე მუდამ მსდევდა რაღაც მისტიკური გრძნობა, რომ სტრელცოვს შეუძლია მინდორზე გააკეთოს ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს. აი, ძალიან მოინდომებს გოლის გატანას და გაიტანს. ამაში მას ვერავინ შეუშლის ხელს. ახლა, ამდენი წლის შემდეგ, მაშინდელი რწმენა მისტიკურად მეჩვენება, იმ დროს კი მტკიცედ მჯეროდა ეს. და, ადვილი შესაძლებელია, მართალიც ვიყავი...

...ამ ამბავს დღესაც მწარედ ვიხსენებ. სჯობდა იგი საერთოდ არ მომხდარიყო ან, თუ მოხდებოდა, არავის გაეგო. მაგრამ ერთ დროს ამ ამბავზე გაზეთში დაწერეს და ჩვენ სავსებით სამართლიანად გაგვაკრეს სამარცხვინო ბოძზე. რას იზამ, როგორც იტყვიან, სიმღერიდან სიტყვებს ვერ ამოაგდებ.

იმ გახმაურებულ ეპიზოდზე ვლაპარაკობ, როცა მე და სტრელცოვმა „მოვახერხეთ" დაგვიანება მოსკოვ — ბერლინის მატარებელზე. ამ მატარებლით სსრ კავშირის გუნდი მიდიოდა პოლონეთის ნაკრებთან განმეორებით მატჩზე, რომელიც გამარჯვებულს 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის გზას უხსნიდა.

მე და სტრელცოვი ერთმანეთს დღისით სოკოლნიკის პარკში შევხვდით. მატარებლის გასვლამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო. ვისადილეთ, მერე ჩემი უქეიფოდ მყოფი დის სანახავად შევიარეთ და შინ დავბრუნდით ბარგის წამოსაღებად. მე საკვოიაჟში ბარგი ჩავალაგე და რაღაცაზე დედაჩემთან გავაბი საუბარი. გაისმა ტელეფონის ზარი: სტრელცოვი მაჩქარებდა.

— ნუ ღელავ, ჯერ ადრეა, მოვასწრებთ, — დავამშვიდე მე. — ტაქსით 15 წუთში მივალთ.

—კარგი, გამოსვლას რომ დააპირებ, დამირეკე...

ჩვენ რომ უღვინოდ გვესადილა და ჩემ დასთანაც ერთი ბოთლი შამპანური არ წაგვეღო, ასე თავდაჯერებული არ ვიქნებოდი. სტრელცოვი კი, როგორც ყოველთვის ხდებოდა მინდვრის ფარგლებს გარეთ, სხვის ნებასურვილს დაემორჩილა.

ტაქსი ძლივს მიღოღავდა გორკის ქუჩაზე, ბელორუსიის ვოგზლისკენ. ფეხით მოსიარულენი გვისწრებდნენ. პიკის საათი იყო. ავტომანქანებით გაჭედილ ქუჩაში შუქნიშნის წითელი ფერი ყოველ წუთს აჩერებდა მოძრაობას. როცა ბაქანზე გამოვვარდით, მატარებელი მოსკოვი — ბერლინი უკვე წასული იყო. ბაქანზე დაგვხვდა გაფითრებული და დაბნეული ფეხბურთის ფედერაციის მუშაკი, რომელიც გუნდს უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ ჩვენი გულისთვის დარჩა. რა უნდა ეთქვა? ჩვენც კარგად გვესმოდა, რომ განსაკუთრებული შემთხვევა მოხდა და ახლა, როგორც უნდა დავესაჯეთ, ყველაფერი ცოტა იქნებოდა.

საბედნიეროდ, ჩვენი თანამგზავრის დაბნეულობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სამივე ბელორუსიის მოედანზე გავვარდით, ჩავსხედით მის მანქანაში, როგორც იქნა, გზატკეცილზე გავედით, მატარებელს გავეკიდეთ და მოჟაისკში დავეწიეთ. უკვე წასული ამბავია და შეიძლება საიდუმლო გაგიმხილოთ: მატარებელი იქ არ უნდა გაჩერებულიყო, მაგრამ სადგურის უფროსი ფეხბურთის გულშემატკივარი აღმოჩნდა, ჩვენი ვედრება შეისმინა და დანაშაული ჩაიდინა — მატარებელი რამდენიმე წამით გააჩერა.

უკვე ლაიპციგში, სადაც გადათამაშება იყო დანიშნული, მატჩის დაწყებამდე გავიგეთ, როგორ გადაწყდა ჩვენი ბედი, „ითამაშონ, — დაადგინეს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელებმა, — საქმეს ჩასვლის შემდეგ გავარჩევთ, მათი თამაშის მიხედვით".

ეს სასჯელი რომ მოისმინა, სტრელცოვმა ამოიოხრა და თქვა:

— ჰოო, მარტო მოგება არ კმარა. გოლის გატანაა საჭირო.

მეც ამას ვფიქრობდი, მაგრამ ხმამაღლა თქმა ვერ გავბედე: გოლის გატანა ასე ადვილია?

თამაში ახალი დაწყებული იყო. სტრელცოვმა ისკუპა, ჰაერში პოლონელ მცველს დაეჯახა და ბალახზე დაენარცხა. სცადა ადგომა, მაგრამ ვერ შეძლო. ეტყობა ტრავმა სახუმარო არ იყო. მაშინ სარბენ ბილიკზე გადაფორთხდა და ამ დროს ექიმმაც მიირბინა.

— როგორაა საქმე?

— ნორმალურად. რაც გინდათ, ის ქენით, ყველაფერზე თანახმა ვარ. ოღონდ იცოდეთ, ისევ უნდა გამოვიდე. გოლი უნდა გავიტანო.

ექიმმა მას ფეხზე, დაჭიმული კუნთის ადგილას, ელასტიკური ბანდი შემოუჭირა და სტრელცოვი კვლავ ჩაება თამაშში.

ჩვენ გავიმარჯვეთ — 2:1. სტრელცოვმა, ჩინებულად ითამაშა და გოლიც გაიტანა.

შინ დაბრუნებულებს უფროსებისგან კარგა მაგრად მოგვხვდა, მაგრამ საქმე მაინც სიტყვიერი საყვედურით გათავდა.

იმ მატჩში იყო ერთი ასეთი ეპიზოდი: მე ბურთიანად ზედ მეკარის მოედანთან აღმოვჩნდი. ჩემს წინ მხოლოდ პოლონელი მეკარე იდგა, მეტი არავინ. ცრუ მოძრაობა გავაკეთე. მეკარე კუთხისკენ გადახტა. ახლა კარიც ცარიელი დარჩა. ბურთი ფეხებში მქონდა, ხელს არავინ მიშლიდა. მეკარისკენ არც კი ვიყურებოდი, მშვიდად დავარტყი მეორე კუთხეში... როგორ მოახერხა მეკარემ წამოხტომა, ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება. მე მხოლოდ მისი სხეული დავინახე, რომელმაც ჰაერში თითქოს ცხვირწინ ჩამიქროლა და ბურთი ზედ კარის ხაზზე დაიჭირა.

მთელი მატჩის მანძილზე ვწყევლიდი ჩემს თავს ამ შეცდომისთვის, მთელი შეხვედრა ვცდილობდი გამომესწორებინა იგი, მაგრამ შესაძლებლობა აღარ მომეცა.

ალბათ, სწორედ ამით განსხვავდებოდა სტრელცოვი ჩემგან, მარტო ჩემგან კი არა, ნებისმიერი სხვა ფეხბურთელისგან: თუკი გადაწყვეტდა გოლი უნდა გავიტანოო, წინ ვეღარავინ დაუდგებოდა.

მე არ ვიცი, სხვა ვინ შეძლებდა იმდენი ხნის შემდეგ დაბრუნებულიყო დიდ ფეხბურთში — არ დაგავიწყდეთ, ეს შუალედი დაემთხვა ფეხბურთისთვის საუკეთესო ასაკს, 21-26 წელს — და მყისვე თავისი ძველი ადგილი დაეკავებინა კლუბშიც და ნაკრებშიც. დაბრუნებულიყო და არაფერი ჰქონოდა დაკარგული თავისი ძველი თვისებებიდან. შეეძინა ახალი თვისებებიც, რაც აუცილებელია ამ წლების განმავლობაში ძალიან წინ წასული ფეხბურთისთვის — რაც გინდათ თქვით და, ამასობაში ორი მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა.

მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა ფეხბურთში, მინდორზე, ბურთით თამაშის დროს.

დამთავრდებოდა თამაში, შხაპს მივიღებდით, გადავიცვამდით და სტადიონიდან გავდიოდით. ყველა ჩვენგანს ვიღაც უცდიდა: ან ცოლი, ან მეგობარი გოგონა, ან ამხანაგი. სტრელცოვს ამხანაგები ელოდნენ. ისინი სტრელცოვს არ აურჩევია მეგობრებად, თვითონ მათ აირჩიეს იგი. ეს ის ხალხი იყო, ვისაც უყვარდა სადმე კომპანიაში თავის მოწონება: „წუხელ ედიკ სტრელცოვთან დილამდე ვიქეიფეთ", ვისაც თავი მეფედ მიაჩნდა, თუ რომელიმე ცნობილ რესტორანში ცენტრალურ მაგიდას უჯდა თვით სტრელცოვის გვერდით.

მე ყველაფერი ეს მშვენივრად ვიცი, გარკვეულ ასაკამდე მეც ბლომად მყავდა ასეთი მეგობრები. მარტო მე კი არა, დარწმუნებული ვარ, ყველა ცნობილი სპორტსმენის გარდუვალი თანამგზავრები არიან. ოღონდ ერთნი ასეთი მეგობრობის ფასს უფრო ადრე იგებენ, მეორენი — უფრო გვიან, მესამენი კი, საერთოდ ვერც იგებენ.

გარეგნულად წლები ცვლიდა სტრელცოვს. შუბლზე ჩამოყრილი თმა, რომლის წყალობითაც პეროვში პირველი ბიჭის სახელი დაერქვა, ახალმა მოდურმა ვარცხნილობამ შეცვალა. შეიცვალა მისი გარეგნული სახე, მისი ჩაცმულობა, მეტყველება, მაგრამ შინაგანად სტრელცოვი სრულიად არ იცვლებოდა. ამ ლამაზ, თითქოს თავდაჯერებულ ცენტრფორვარდში იმალებოდა გაუბედავი ჭაბუკი, რომელიც ადვილად ექცეოდა ნებისმიერი გავლენის ქვეშ, რომელიც მზად იყო გაჰყოლოდა ყველას, ვინც თითს დაუქნევდა და თავისკენ უხმობდა.

მინდორზე იგი ჭეშმარიტად ძლიერი იყო მთელი სულითა და სხეულით, მტკიცე, დაუოკებელი. მინდორზე იგი თავის სტიქიაში იყო, საყვარელი საქმით გართული, გარშემორტყმული ამხანაგებითა და გუნდით. იგი გრძნობდა ამ გუნდის მხარდაჭერას და ცდილობდა აუცილებელი ყოფილიყო მისთვის. ცდილობდა, როგორც შეეძლო. შეძლებით კი ბევრი შეეძლო და ხალხი „ტორპედოს" თამაშებს აწყდებოდა, „სტრელცოვზე" მოდიოდა.

მაგრამ სტრელცოვის სანახავად მარტო სტადიონზე როდი დადიოდნენ. ქორწილებში, ბანკეტებზე, მამაკაცურ დროს ტარებაში იგი ბევრისთვის სასურველი და ხელსაყრელი პარტნიორი იყო, სატყუარა, რომელზეც ხალისით ეგებოდა სულ სხვადასხვა ჯურის ხალხი. ხელსაყრელი იყო იმიტომ, რომ სტრელცოვს არ შეეძლო, თავის თავში ვერ პოულობდა ძალას ვინმესთვის უარი ეთქვა.

ყოველი მორიგი დროს ტარების შემდეგ იგი თავის თავს ეუბნებოდა:

— მორჩა. ეს უკანასკნელი იყო. სხვა დროს არაფრის გულისთვის აღარ წავალ.

მაგრამ მომდევნო მატჩის შემდეგ მას უკვე უცდიდნენ სტადიონთან ვიღაცეები. და ედიკი ისევ ვერ უწევდა მათ დიდ წინააღმდეგობას.

— ნახევარი საათით შევიდეთ, რა... ნუ დალევ. ისე დაჯექი, სუფრა დაგვიმშვენე და წადი...

ეს ასჯერ და ათასჯერ მოსმენილი სიტყვები მაინც აკეთებდა თავის საბედისწერო საქმეს. „უხერხულია უარის თქმა. კარგი ბიჭია. ეწყინება", — და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

„სპორტი სრულ თავდადებას მოითხოვს"... „სპორტში დიდი, ხანგრძლივი და სტაბილური წარმატებებისთვის საჭიროა ნამდვილი სპარტანული ცხოვრება, ცხოვრებისეულ ცდუნებათა მსხვერპლად გაღება..." ეს ჭეშმარიტებანი ყოველმა ჩვენგანმა ბავშვობიდანვე ზეპირად იცის, როგორც გამრავლების ტაბულა, მაგრამ მათს ნამდვილ ფასს უფრო გვიან, მოწიფულობაში ვგებულობთ. გასაკვირველია, სულ ახალგაზრდა ბიჭებს შორისაც გვხვდებიან ისეთები, ვისთვისაც ეს ჭეშმარიტებანი იმთავითვე ცხოვრების გარდუვალ კანონად ქცეულა. ისინი ან ცხოვრებამ აიძულა ადრე მოწიფულიყვნენ, ან ოჯახურმა აღზრდამ იქონია გავლენა, ან, უბრალოდ, დაბადებიდანვე ასეთები არიან.

სამწუხაროდ, სტრელცოვი ამ კატეგორიის ადამიანებს არ ეკუთვნოდა. ტალანტი და ძალა კი იმდენი ჰქონდა, რომ რეჟიმის დარღვევა გარკვეულ დრომდე მასზე გავლენას ვერ ახდენდა. საკმარისი იყო ვინმესგან გაეგონა ეს ჯადოსნური სიტყვები: „ედიკ, მხოლოდ ნახევარი საათით, რა," და მყისვე ყველას მორჩილად მისდევდა უკან.

მე ბევრ ნიჭიერ ფეხბურთელს ვიცნობდი, რომელთაც ყველა უბედურება უზომო პატივმოყვარეობამ მოუტანა. გარეგნულად სურათი იგივე იყო — სისუსტე პირფერობის წინაშე და ყურადღების ცენტრში ყოფნის წყურვილი ყველგან, სხვაგან თუ არა, ლუდხანაში მაინც. არა, სტრელცოვი პატივმოყვარე არასდროს ყოფილა. იყო შემთხვევები, სადმე უცხო ქალაქში კინოში მოვინდომებდით შესვლას, სალაროსთან კი უზარმაზარი რიგი დაგვხვდებოდა. ასეთ დროს ერთადერთი გამოსავალი ადმინისტრატორთან სტრელცოვის შეგზავნა იყო. სულ ორი სიტყვა უნდა ეთქვა: „სტრელცოვი ვარ". და საქმე გაკეთებული იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ვერც ერთხელ ვერ შევძელით ამ შანსის გამოყენება: არ მიდიოდა სტრელცოვი ადმინისტრატორთან, ერიდებოდა. პოპულარობა მას არ ცვლიდა. იგი მუდამ თავმდაბალი იყო, თითქმის მორცხვი, არც ტრიბუნების ოვაციებს აჰყვებოდა და არც პრესის ქება-დიდებას. უბრალოდ, მან არ იცოდა ბრძოლა თავისი თავისთვის, საკუთარი „მე"-სთვის. ეს იყო მისი ტრაგედია.

ამასთან, სტრელცოვი მტკიცე ნატურაა. გადიოდნენ წლები. დროს ხან ბედნიერი დღეები მოჰქონდა მისთვის, ხან მწარე გაკვეთილები, სტრელცოვი კი უწინდებურად აფორიაქებული იყო, უწინდებურად უმწეო გარეშე პირთა გავლენის წინაშე, ისევ ჰქონდა უამრავი კეთილი განზრახვა, რომელთა განხორციელებაშიც მუდამ რაღაც უშლიდა ხელს.

ახლა არ დავიწყებ იმის გახსენებას, თუ როგორ და რისთვის მიუსაჯეს მას თავისუფლების აღკვეთა.

სტრელცოვი ვადამდე გაათავისუფლეს — პატიოსნური მოქცევითა და კეთილსინდისიერი შრომით გამოისყიდა დანაშაული.

იგი შინ დაბრუნდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი დიდ ფეხბურთში დაბრუნების ნებართვაც მიიღო. მან კვლავ მოიპოვა ნაკრებში თამაშის უფლება და ისევ სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა. ეს მოხდა ექვსწლიანი შუალედის შემდეგ. სხვაზე იტყოდნენ: შეუძლებელი შეძლოო. სტრელცოვზე ამას არ ამბობდნენ. იგი მინდორზე გამოვიდა და მთელი არსებით გადაეშვა თავის სტიქიაში. განა შეიძლება თევზს ცურვა დაავიწყდეს? განა შეიძლება ადამიანი სუნთქვას გადაეჩვიოს?

და მან კვლავ მოიპოვა უძლიერესის სახელი „ტორპედოშიც" და ნაკრებშიც. ხალხმა კვლავ დაიწყო „სტრელცოვზე" სიარული და არც გასცრუებია იმედი. სტრელცოვი მაინცდამაინც არც ახლა იკლავდა თავს საწვრთნელ მეცადინეობებზე, კვლავ გულგრილი დარჩა რეჟიმის მიმართ, თუმცა წლები მოემატა, დამძიმდა, უწინდებურად სწრაფი და დაუღალავი ვეღარ იყო. მაგრამ მან იოლად გარდაქმნა თამაში ისე, რომ ეს ნაკლოვანებები შესამჩნევი არ ყოფილიყო. ახლა იგი სხვაგვარად თამაშობდა, მაგრამ თავის ადგილზე მაინც შეუცვლელი იყო.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 42, 45, 46, 47, 56, 57.

# ნაკრები მზადებას შეუდგა

**სოჭი, 24 მარტი.** აქ გაიმართა საწვრთნელი მატჩი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდსა და მოსკოვის „სპარტაკს" შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ნაკრები თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: ე. რუდაკოვი (ვ. პილგუი), ვ. ბუკიევსკი, მ. ხურცილავა, ვ. მატვიენკო, ს. ოლშანსკი, ო. ზანაზანიანი, მ. მაჩაიძე, ლ. იშტოიანი, ვ. სტარუხინი, ვ. ზახაროვი (ვ. ფედოტოვი), დ. ყიფიანი.

ამ მოთამაშეთა გარდა, ნაკრებში მიწვეული არიან: რ. ძოძუაშვილი, ე. ლოვჩევი, მ. ფომენკო, ვ. კაპლიჩნი, ა. სარქისიანი, ვ. მუნტიანი, ვ. კოლოტოვი, ო. დოლმატოვი, ო. ზანაზანიანი, ო. ბლოხინი, ვ. ონიშჩენკო, ა. შეპელი, ე. კოზინკევიჩი.




## თამაშობენ იუნიორები

**უჟგოროდი, 24 მარტი.** სსრ კავშირის იუნიორ ფეხბურთელთა ნაკრები აქ უეფა-ს ტურნირის შესარჩევ მატჩში შეხვდა პოლონელებს და ფრედ დაამთავრა თამაში — 0:0. ახლა ორივე გუნდს 3-3 ქულა აქვს, ხოლო ჯგუფის მესამე მონაწილეს, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — 1 ქულით ნაკლები.

ახლა საბჭოთა ფეხბურთელებს სათამაშო აქვთ ჩეხოსლოვაკიის გუნდთან.

## [illegible]

**გურჯაანი**

აქ დამთავრდა საქართველოს ზონალური პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონების კოლექტივები. ვაჟებში ყველას აჯობეს გურჯაანელებმა, ხოლო ქალებში — ლაგოდეხის რაიონის წარმომადგენლებმა.

ი. იორამიშვილი.




# ფინალისტთა საქმეები

● მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილე შვეციის ნაკრების წაგებამ (0:2) იტალიის საკლუბო გუნდ „ნაპოლისთან“ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში. იტალიური პრესა, კერძოდ, აღნიშნავს, რომ სკანდინაველთა დაცვა მოქმედებდა შეუთანხმებლად, ხშირად უშვებდა შეცდომებს. თავდასხმაში გამოირჩეოდა მხოლოდ კინდვალი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის მომავალ მატჩებში თავი უნდა გამოიჩინოს როგორც ერთ-ერთმა უძლიერესმა ფორვარდმა.

● იუგოსლავია — ესპანეთის დამატებითი მატჩის შემდეგ არც ერთ მიმომხილველს ეჭვი არ ეპარება იუგოსლაველთა გამარჯვების კანონზომიერებაში. სხვათა შორის, საწინააღმდეგო აზრი არა აქვს თვით ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს ლ. კუბალასაც:

„ბევრი ელოდა, რომ მე დავტოვებდი ნაკრებს, — თქვა მან, — მაგრამ ამას არ ვიზამ. მიუნჰენის მსოფლიო ჩემპიონატი ბოლო არაა ისტორიაში და მე ყოველნაირად შევეცდები დავამტკიცო, რომ ესპანური ფეხბურთი ღირს რამედ“.

● არგენტინელთა მწვრთნელმა ლ. კაპმა ნაკრებში ჯერჯერობით მიიწვია მხოლოდ 14 მოთამაშე. დანარჩენი ვაკანსიები უნდა შეავსონ მათ, ვინც უცხოეთის კლუბებში გამოდის, საამისოდ კი მწვრთნელს დიდი მოგზაურობა მოუხდება — საჭიროა ყველა ამ ფეხბურთელის სპორტული ფორმის შემოწმება.

● ზაირის ნაკრებმა ამას წინათ ფრედ ითამაშა ბრაზილიის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ფლამენგოსთან“ — 3:3, შემდეგ მოიგო აფრიკის თასი, მაგრამ მოულოდნელად წააგო კონგოს ნაკრებთან — 1:2.

● „ფრანს ფუტბოლის“ კორესპონდენტი იყო ბრაზილიაში, სადაც ესაუბრა ცნობილ ფეხბურთელს, მსოფლიო ჩემპიონ რობერტო რიველინოს. შეკითხვაზე, მიაჩნია თუ არა თავი პელეს მემკვიდრედ, როგორც ამას ზოგიერთნი აღნიშნავენ, რიველინომ გაკვირვებით შეხედა თანამოსაუბრეს:

— როგორ გეკადრებათ, პელე ერთია! ერთადერთი! მისი შეცვლა არავის არ შეუძლია. არც მე.

— თქვენი № 11 ბოლო ხანებში ფორმალობად იქცა. ასეა თუ არა?

— დიახ. მე ახლა შუა ხაზში ვთამაშობ და ეს უფრო მომწონს. იქ მეტი გასაქანია შემოქმედებისთვის, ვიდრე მარცხენა ფლანგზე.

— მოიგებს თუ არა ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონობას?

— რატომაც არა. ასე რომ მოხდეს, ვისთვის იქნება მოულოდნელი?

— რას იტყვით დასავლეთგერმანელებზე?

— ისინი მუდამ ღირსეული მეტოქენი იყვნენ ამერიკაშიც და ევროპაშიც, თანაც შინ დიდი მხარდაჭერა ექნებათ.

— რას იტყვით იმაზე, რომ ბრაზილიის ნაკრებს აღარ ჰყავს ისეთი კორიფეები, როგორიც არიან პელე, დიდი, გარინჩა?

— დღევანდელი ფეხბურთი რამდენადმე განსხვავდება უწინდელისგან. კერძოდ, დრიბლინგი წარსულს ჩაჰბარდა. ახლა მთავარია თამაშის ტემპი, ინტენსიურობა. გზები კარის ასაღებად სხვაგვარია, განსხვავებული, შეიძლება, სირთულით არა, მაგრამ სისწრაფით კი. ახლა ყველაფერი ელვის სისწრაფით უნდა მოხდეს.

## „ატლეტიკო“ ნახევარფინალში გავიდა

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა ბოლო, მეოთხე გუნდი — მადრიდის „ატლეტიკო“. ესპანელ ფეხბურთელებს პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდათ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ მისივე მინდორზე — 2:0, შინ კი კიდევ ქულა აიღეს — 0:0.





## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### ინგლისი

გათამაშების ფინიშზე (დარჩა მხოლოდ შვიდი ტური) ჩემპიონობისთვის ბრძოლა უაღრესად გამწვავდა. შაბათს „ლიდს იუნაიტედი“, რომელმაც სეზონის 29 შეხვედრა ზედიზედ წაუგებლად განვლო, კიდევ ერთხელ დამარცხდა — ლიდერმა ამჯერად საკუთარ მინდორზე წააგო VIII ადგილზე მყოფ „ბერნლისთან“ — 1:4. სტუმართა გოლს (ფლეტჩერი) ლიდსელმა კლარკმა გოლით უპასუხა, მაგრამ შემდეგ კვლავ ფლეტჩერმა, კოლინსმა და მელვიკმა სამჯერ აიღეს ლიდერის კარი.

ჩემპიონობის მეორე პრეტენდენტმა — შარშანდელმა ჩემპიონმა „ლივერპულმა“ სტუმრად სძლია (1:0) „ვულვერჰემპტონ უონდერერსს“ და ერთობ მნიშვნელოვანი 2 ქულა მოიპოვა.

ბოლო ადგილზე მყოფმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ წააგო ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურთან“ — 0:1. გოლი ლონდონელმა კოუტსმა გაიტანა. II ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ გადასვლა უკვე ეჭვს აღარ იწვევს.

ლონდონის „არსენალმა“ (XVI ადგილი) შინ სძლია „მანჩესტერ სიტის“ — 2:1. „დერბი ქაუნთიმ“ ასევე თავის მინდორზე მოუგო „იფსვიჩ თაუნს“ — 2:0.

აი, ლიდერთა სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლიდს იუნაიტედი“ | 35 | 57:26 | 52 |
| „ლივერპული“ | 33 | 41:23 | 48 |
| „დერბი ქაუნთი“ | 35 | 45:34 | 41 |

### შოტლანდია

შაბათს გლაზგოს „სელტიკმა“ სტუმრად წააგო (0:2) „პარტიკ თისტლთან“, რაც კომენტატორებმა ტურის სენსაციად ჩათვალეს. საყურადღებოა, რომ პირველი წრის შეხვედრა გლაზგოში ჩემპიონმა დიდი ანგარიშით (7:0) მოიგო.

„გლაზგო რეინჯერსმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა „ფოლკერკთან“ — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 25 | 66:21 | 40 |
| „ჰიბერნიენი“ | 23 | 49:28 | 33 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 25 | 43:25 | 33 |

### ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ შინ სძლია „უტრეხტს“ — 5:2. როტერდამში ადგილობრივი გუნდების „ფეიენოორდისა“ და „სპარტის“ შეხვედრა „ფეიენოორდმა“ მოიგო — 3:1. გამარჯვებულთა სამივე გოლი ვან ჰანეგემმა გაიტანა.

ენსხედეს „ტვენტემ“ სტუმრად ფრედ ითამაშა „ჰააგასთან“ — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 26 | 77:20 | 44 |
| „ფეიენოორდი“ | 26 | 72:25 | 42 |
| „ტვენტე“ | 26 | 47:15 | 42 |

### პორტუგალია

ტურის ცენტრალური შეხვედრა ლისაბონის „სპორტინგსა“ და „პორტუს“ შორის ლისაბონელთა გამარჯვებით დასრულდა — 2:0. შარშანდელი ჩემპიონი — ლისაბონის „ბენფიკა“ ჯერჯერობით ამაოდ ცდილობს დაეწიოს ლიდერს, თუმცა XXIV ტურში მისმა წარმატებამ (5:1) გიმარაიშის „ვიტორიასთან“ ლიდერთა შორის სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპორტინგი“ | 24 | 80:14 | 40 |
| „ბენფიკა“ | 24 | 44:16 | 37 |
| „პორტუ“ | 24 | 36:16 | 36 |

### ბელგია

გათამაშების XXIV ტურში შედეგიანობა სარეკორდო იყო: 8 შეხვედრაში 31 გოლი! თასის მფლობელმა და ლიდერმა — ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ შინ მოუგო ანტვერპენის „ბეერსკოტს“ — 6:2. 4 გოლი ანტვერპენელთა კარში გაიტანა „ანდერლეხტის“ ფორვარდმა, ჰოლანდიელმა, ვან დერ ელსტმა. იგი სნაიპერთა სიაში მესამეა 16 გოლით. სიას ვან დერ ელსტის თანაკლუბელი ლადინსკი ლიდერობს — 21 ბურთი.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ | 24 | 60:26 | 36 |
| „რასინგ ვიტი“ (მოლენბეკი) | 24 | 36:18 | 31 |
| „ანტვერპენი“ | 23 | 38:21 | 31 |

### საფრანგეთი

„სენტ-ეტიენმა“ 2 ქულა დაკარგა რენში ადგილობრივ „სტად რენთან“ — 0:1. „ტრუამ“ შინ სძლია ჩემპიონ „ნანტს“ — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენტ-ეტიენი“ | 28 | 52:34 | 45 |
| „ნანტი“ | 27 | 46:28 | 43 |
| „ოლიმპიკი“ (ლიონი) | 28 | 48:34 | 41 |

### საბერძნეთი

პირეუსის „ოლიმპიაკოსმა“ სტუმრად აჯობა „პანსერაიკოსს“ — 2:0. ათენში ადგილობრივმა „პანათინაიკოსმა“ მოუგო პაოკ-ს — 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიაკოსი“ | 22 | 75:8 | 40 |
| „პანათინაიკოსი“ | 22 | 48:15 | 35 |
| „არისი“ (სალონიკი) | 22 | 31:13 | 34 |

### თურქეთი

სტამბულის „ფენერბახჩემ“ იზმირში სძლია ადგილობრივ „ალთაის“ — 1:0. ასევე სტამბულელთა გუნდმა „ბეშიქთაშმა“ სტუმრად ფრედ ითამაშა „კაისერისპორთან“ — 0:0. სტამბულის „გალათასარაიმ“ შინ მოუგო „ესქიშეჰირსპორს“ — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფენერბახჩე“ | 20 | 22:8 | 28 |
| „ბეშიქთაში“ | 20 | 22:11 | 27 |
| „გალათასარაი“ | 20 | 20:8 | 25 |

### პოლონეთი

17 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „რუხი“ (ხოჟუვი) | 16 | 33:11 | 25 |
| „სტალი“ (მელეცი) | 17 | 29:11 | 22 |
| „ვისლა“ (კრაკოვი) | 17 | 24:14 | 22 |

### უნგრეთი

„დოჟა უიპეშტმა“ შინ მოუგო „სეგედს“ — 4:0. ბუდაპეშტში ადგილობრივმა „ფერენცვაროშმა“ აჯობა „ზალეგერსეგის“ — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დოჟა უიპეშტი“ | 19 | 47:23 | 26 |
| „ფერენცვაროში“ | 19 | 44:23 | 25 |
| „რაბა ეტო“ (დიერი) | 19 | 25:23 | 24 |

### იუგოსლავია

სპლიტის „ჰაიდუკმა“ ნიშში სძლია ადგილობრივ „რადნიჩკის“ — 1:0. ბელგრადში „პარტიზანმა“ აჯობა შარშანდელ ჩემპიონ „ცრვენა ზვეზდას“ — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰაიდუკი“ | 21 | 35:18 | 28 |
| „ველეჟი“ (მოსტარი) | 21 | 37:27 | 25 |
| „ჩელიკი“ (ზენიჩარი) | 21 | 21:13 | 25 |
| „რადნიჩკი“ (ნიში) | 21 | 21:23 | 24 |

(საქ. ინფ.).

## ახალი ამბები-74

● **ბელგრადი, 24 მარტი.** კიევის „სპარტაკის“ ხელბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითს ნახევარფინალურ მატჩში ანგარიშით 14:12 დაამარცხა ადგილობრივი „რადნიჩკი“ (პირველი მატჩიც კიეველებმა მოიგეს — 14:9). 6 აპრილს პოლონეთის ქალაქ ოპოლში სპარტაკელები ფინალში შეხვდებიან „ლაიპციგს“ (გდრ).

● ვარშავა, 24 მარტი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მინსკელმა ვ. სიდიაკმა ყველას აჯობა ესპადრონისტთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტის თასზე. ფინალში მან ხუთიდან ოთხი შეხვედრა მოიგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამარჯვება მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ ე. პავლოვსკისთან (პოლონეთი) — 5:4. პავლოვსკი სამი მოგებით II ადგილზე გავიდა. მომდევნო ადგილებზე არიან საბჭოთა ესპადრონისტები ე. ვინოკუროვი (ლენინგრადი), ვ. ბაჟენოვი (ომსკი) და ვ. ნაზლიმოვი (მოსკოვის ოლქი). მათ ორ-ორი მოგება ჰქონდათ და ადგილები ჩხვლეტების მიხედვით განაწილდა.

● **ხერიზაუ (შვეიცარია), 24 მარტი. სსრ კავშირის იუნიორ ჰოკეისტთა ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი ევროპის აქ დაწყებულ ჩემპიონატში — ანგარიშით 10:2 სძლია პოლონეთის გუნდს.**

● ფრუნზე, 24 მარტი. *წლევანდელ სეზონში უძლიერესი საბჭოთა მესტენდურეების პირველი ოფიციალური ტურნირი — გმირი პანფილოველების ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. მრგვალ სტენდზე გამარჯვებული დამატებითი სერიის შემდეგ გამოვლინდა: სვერდლოვსკელმა ი. ცურანოვმა და ომსკელმა ნ. ბენემმა 197-197 ქულა მოაგროვეს, დამატებითი სერია კი ცურანოვმა მოიგო. მსოფლიო ჩემპიონმა, ფრუნზელმა ვ. ანდრეევმა 195 თეფში გატეხა და მხოლოდ IV ადგილი დაიკავა. მან წინ გაუშვა მოსკოველი ჭაბუკი ა. ჩერკასოვიც — 196 ქულა. ადგილიდან სროლაში გაიმარჯვა ოდესელმა ა. შაპირომ — 188 ქულა. 186-186 ქულა დააგროვეს ალმაათელმა ა. მუხამეჯანოვმა და მსოფლიო ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ა. ანდროშკინმა, მაგრამ ანდროშკინმა უარი თქვა დამატებითს სერიაზე და II ადგილი ალმაათელ მესტენდურეს მიეკუთვნა.*

● **ოსლო, 24 მარტი.** მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა წააგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი ნორვეგიის ოპსალ-თან — 10:13 (5:7). მასპინძლებმა შეძლეს უძლიერესი მოსკოველი თავდამსხმელის მაქსიმოვის სრული შებოჭვა. ამავე დროს, საუცხოოდ ითამაშა ნორვეგიელთა მეკარემ ბ. ბიუემ. საპასუხო მატჩი მოსკოვში დიდ ინტერესს იწვევს.

თბილისის უნივერსიტეტის შარშანდელი ალპინიადა სამგზის საიუბილეო იყო: ჯერ ერთი, უნივერსიტეტელები ოცდამეათედ ესტუმრნენ მომხიბლავ, ზვიად მთებს; მეორეც, ალპინიადა საბჭოთა მთამსვლელობის 50-ე წლისთავს ეძღვნებოდა; და ბოლოს, ექსპედიციაში მონაწილეობდა ცნობილი რუსთაველი მთამსვლელი მარო ტყავაძე. 70 წლის მანდილოსანს 50 წლის შემდეგ კვლავ უნდა შეედგა ფეხი მყინვარწვერზე, მაგრამ, როგორც ალბათ გახსოვთ, „ხევის პატარძალმა“ ამჯერად მასპინძლობაზე უარი გვითხრა. სამაგიეროდ, როგორც „ლელოს“ მკითხველებმაც იციან, ქალარა მანდილოსანს ყველამ მოულოცა მწვერვალ სპარტაკის დაპყრობა.

ყველაფერი ეს მარო ტყავაძემ, მისმა ნაცნობებმა და მეგობრებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ახლახან, როცა რუსთავის ქალთა საბჭომ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა და საზოგადოება „ცოდნის“ ადგილობრივი ორგანიზაციის გამგეობამ ცნობილ მთამსვლელს დაბადების 70 წლისთავის იუბილე გადაუხადეს (ჩვენ ამაზეც ვიუწყებოდით).

ქალბატონმა მარომ თბილისის უნივერსიტეტის შარშანდელი ალპინიადის დღეებში მთხოვა მყინვარწვერის ძირში სხვებთან ერთად სამახსოვრო ფოტოსურათი გადამეღო მისთვის და მეც სიამოვნებით შევუსრულე თხოვნა. დღეს სწორედ იმ ფოტოსურათს გთავაზობთ.

ა. ბურასაშვილი,
ალპინიადის მონაწილე.

## ელექტრული ხერხით

ორი ცნობილი ამერიკელი მოკრივის, მსოფლიო პროფესიული რინგის უძლიერესთა ათეულში შემავალი ორი მძიმეწონოსნის ჯერი ქვორისა და ერნი შეივერსის მატჩი პირველის სენსაციური გამარჯვებით დამთავრდა. ქვორიმ ბრძოლა ტექნიკური ნოკაუტით მოიგო პირველივე რაუნდში, როცა 81 წამში მეტოქე ორჯერ ჩააგდო ნოკდაუნში და 28 უძლიერესი დარტყმა მიაყენა.

როცა გაზეთ „ნიუსდეის“ რეპორტიორმა შეივერსს ბრძოლის დეტალების გახსენება სთხოვა, მან მიუგო: „ელექტრული ხერხის ქვეშ მოხვედრილ კაცს ძალიან ნაკლებად აინტერესებს, ხერხის რომელი კბილი მკერდში ჩაესობა და რომელი — ზურგში“.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04530